ПРЕСРЕЛИЗИ

სახელმწიფო შესყიდვების და მეწარმეობის განვითარების სააგენტოების მხარდამჭერი ღონისძიებები კერძო სექტორის განვითარებისთვის

10 ივლისს ქ. ბათუმში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა, აჭარის რეგიონში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანი იყო აჭარის რეგიონში მოღვაწე ბიზნეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია. ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული, სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივები, სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი თამაზ შავაძე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ექსპერტ-ანალიტიკოსი ალექსანდრე ჩხიკვიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი დიმიტრი გულისაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი ეკა გაბადაძე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ანი კვარაცხელია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ საქართველოს კომპონენტის ხელმძღვანელი იოხემ ტაისი, GIZ-ის პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი სანდრო შახოვი.

ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბატონმა იოხემ ტაისმა, რომელმაც მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობასა და ბიზნესსუბიექტების ჩართულობაზე გაამახვილა ყურადღება.

„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება ყოველთვის მზად არის ხელი შეუწყოს თანმიმდევრულ დიალოგს კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. სახელმწიფო შესყიდვები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური სფეროა და ჩვენ მივესალმებით, თუ ბიზნესი ამ კუთხით გააქტიურდება, “ - განაცხადა ბატონმა ტაისმა.

შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ექსპერტ-ანალიტიკოსმა ალექსანდრე ჩხიკვიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია „აკეთე ბიზნესი სახელმწიფოსთან გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში“. აღსანიშნავია, რომ შეხვედრას ის ბიზნესმენები ესწრებოდნენ, რომლებიც ჯერ არ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში და არ არიან რეგისტრირებულები ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ჩართვასთან დაკავშირებული საკითხები, პროგრამის განხორციელების ანგარიში და ამ ეტაპისთვის მიღებული შედეგები. პრეზენტაცია წარმოადგინა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ანი კვარაცხელიამ.

შეხვედრის დასასრულს, გაიმართა დისკუსია და კითხვა-პასუხის სესია. მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ საინფორმაციო მასალები, გამოცემები.